

ფინანსური ანგარიშგება და პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	8
2.2. მომზადების საფუძველი	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	8
3.1. უცხოური ვალუტა	8
3.2. ძირითადი საშუალებები	9
3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება	9
3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
3.7. კაპიტალი	10
3.8. შემოსავალი	10
3.9. გადასახადები	11
4. ძირითადი საშუალებები	12
5. გადახდილი ავანსები	12
6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	12
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	13
9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	13
10. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
13. ფინანსური რისკის ფაქტორები	14

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამბულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია“-ს ხელმძღვანელობას

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შევადგინეთ შპს „ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებები“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურღაია
თანამმართველი პარტნიორი

2023 წლის 30 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	611,421
სულ გრძელვადიანი აქტივები		611,421
მიმდინარე აქტივები		
გადახდილი ავანსები	5	27,210
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები		20,059
მარაგები		2,332
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,243,706
სულ მიმდინარე აქტივები		1,293,307
სულ აქტივები		1,904,728
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		428,478
გაუნაწილებელი მოგება		107,486
სულ კაპიტალი		535,964
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული ავანსები		1,346,941
გადასახდელი ხელფასები		19,439
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,384
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,368,764
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,904,728

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	611,421
სულ გრძელვადიანი აქტივები		611,421
მიმდინარე აქტივები		
გადახდილი ავანსები	5	27,210
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები		20,059
მარაგები		2,332
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,243,706
სულ მიმდინარე აქტივები		1,293,307
სულ აქტივები		1,904,727
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		428,478
გაუნაწილებელი მოგება		107,486
სულ კაპიტალი		535,964
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული ავანსები		1,346,941
გადასახდელი ხელფასები		19,439
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,384
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,368,763
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,904,727

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		1,386,194
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	9	(1,219,411)
მთლიანი მოგება		166,783
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(332,083)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		(165,300)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(43,828)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა		317,397
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(783)
მოგება გადასახადამდე		107,486
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		107,486
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		107,486

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		1,386,194
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	9	(1,219,411)
მთლიანი მოგება		166,783
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(332,083)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		(165,300)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(43,828)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა		317,397
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(783)
მოგება გადასახადამდე		107,486
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		107,486
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		107,486

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	2022 წელი
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	1,386,194
მიღებული ავანსები	1,346,941
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	11,753
მთლიანად მიღებული	2,744,888
გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე	(69,190)
გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე	(6,384)
გადახდილი ხელფასები	(996,826)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(240,443)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(2,235)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(2,171)
გადახდილი იჯარის თანხა	(204,559)
გადახდილი კომუნალური მომსახურება	(6,036)
გადახდილი ავანსები	(16,527)
მთლიანად გადახდილი	(1,542,370)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	1,202,518
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(205,801)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(205,801)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
შენატანი საწესდებო კაპიტალში	290,970
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	290,970
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(43,981)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	1,243,706

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი

2022 წელი

ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	1,386,194
მიღებული ავანსები	1,346,941
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	11,753
მთლიანად მიღებული	2,744,888
გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე	(69,190)
გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე	(6,384)
გადახდილი ხელფასები	(996,826)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(240,443)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(2,235)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(2,171)
გადახდილი იჯარის თანხა	(204,559)
გადახდილი კომუნალური მომსახურება	(6,036)
გადახდილი ავანსები	(16,527)
მთლიანად გადახდილი	(1,542,370)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	1,202,518
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(205,801)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(205,801)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
შენატანი საწესდებო კაპიტალში	290,970
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	290,970
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(43,981)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	1,243,706

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის მოგება	-	107,486	107,486
პერიოდის სრული შემოსავალი	-	107,486	107,486
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	428,478	-	428,478
სულ ოპერაციები მფლობელებთან	428,478	-	428,478
2022 წლის 31 დეკემბერი	428,478	107,486	535,964

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის მოგება	-	107,486	107,486
პერიოდის სრული შემოსავალი	-	107,486	107,486
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	428,478	-	428,478
სულ ოპერაციები მფლობელებთან	428,478	-	428,478
2022 წლის 31 დეკემბერი	428,478	107,486	535,964


 შპს ფინტექ სოფტვორკ სისტემზ გეორგია
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2022 წლის მაისში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა. მისი ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო საქმიანობა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 21, ბინა N103

კომპანიის 100% ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ2ბროკერ სი“-ის, HE 384930 /კვიპროსი, კვიპროსში დაფუძნებული და რეგისტრირებული კომპანია.

2022 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოს მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედეგის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით,

რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღირიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3 წელი

3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალური საკრედიტო პირობებით არიან და პროცენტი არ ერიცხება.

3.7. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერების შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის აქციონერები. კომპანიის დეკლარირებულ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით.

ყველა ტრანზაქცია მფლობელებთან ცალკე აღირიცხება კაპიტალში.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას.

3.8. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

საქონლის მიწოდება / მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო საქმიანობა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში. კომპანია ძირითადად მომსახურებას უწევს არარეზიდენტ სუბიექტს (B2B FINTECH SOFTWARE SYSTEMS GROUP LIMITED), რომელიც არის შპს ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია-ს მშობელი კომპანია.

ასეთი მომსახურებიდან შემოსავალი აღიარებულია, როდესაც სამუშაოს შესრულება დასრულებულია და შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს ორივე მხარე, იმ პირობით, რომ შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი სავარაუდოდ შემოედინება კომპანიაში.

3.9. გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოდგენილი.

4. ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2022 წელი	-	-	-	-
შესყიდვები	290,388	372,351	792	663,532
ჩამოწერა	783	-	-	783
31 დეკემბერი 2022	291,171	372,351	792	664,314
დაგროვილი ცვეთა				
01 იანვარი 2022 წელი	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა 2022	19,331	32,736	44	52,111
ჩამოწერილი ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2022	783	-	-	783
31 დეკემბერი 2022	20,114	32,736	44	52,894
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	271,057	339,615	748	611,421

5. გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
გადახდილი ავანსები	27,210
ბიუჯეტში გადახდილი ავანსები	20,059
გადახდილი ავანსები	47,269

6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	47,309
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,196,397
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,243,706

საბანკო ნაშთები დენომინირებულია ლარში.

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია მხოლოდ აშშ დოლარში და მისი ღირებულებაა 442,782.14 აშშ დოლარი.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები - 2,383,88 ლარი მოიცავს ვალდებულებას ქართული კომპანიებისგან შეძენილი სერვისებიდან/პროდუქტებიდან შესაბამისი პერიოდის ბოლოს.

სახელფასო დავალიანება - 19,438.53 ლარი მოიცავს თანამშრომლების მიმართ გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებლებს.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში შპს ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია-მ მშობელ კომპანიას გაუწია მომსახურება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,386,194 ლარი.

9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ლარი	2022 წელი
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	5,305
ცვეთა და ამორტიზაცია	1,214,106
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	1,219,411

10. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022 წელი
ცვეთის ხარჯები	46,806
საოფისე ხარჯები	7,575
მარკეტინგის ხარჯები	3,586
სატრანსპორტო ხარჯები	1,961
ხელფასის ხარჯები	55,655
საპენსიო ხარჯები	1,113
იჯარის ხარჯები	165,577
კომუნიკაციის ხარჯები	23,010
იურიდიული და ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	14,746
ნოტარიუსის მომსახურების ხარჯები	1,361
თარჯიმნის მომსახურების ხარჯები	6,851
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,242
სამონტაჟო მომსახურების ხარჯები	412
ბანკის საკომისიო	2,171
მიტანის სერვისის ხარჯები	18
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	332,083

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი 2023 წელს მიენიჭა, რადგან ის ძირითად შემოსავალს იღებს სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან, როგორიცაა IT სფეროში კონსულტაციები. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი შპს ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია-ს აძლევს შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათებს:

- საერთაშორისო კომპანიაში დასაქმების შედეგად მიღებული შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით.
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ შედის დივიდენდის მიმღების მთლიან შემოსავალში.
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5 პროცენტია.

- საერთაშორისო კომპანია თავისუფლდება ქონების (გარდა მიწის) გადასახადისგან, თუ ეს ქონება განკუთვნილია ან გამოიყენება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭების შედეგად საგადასახადო ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა.

12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა ერთი სახის ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან.

მომსახურების მიწოდება

შპს ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია უწევს საკონსულტაციო მომსახურებას დედა კომპანიას. აქედან გამომდინარე, ძირითადი შემოსავალი მიიღება დაკავშირებული მხარეებისგან. 2022 წელს მთლიანმა შემოსავალმა 1,386,194 ლარი შეადგინა.

13. ფინანსური რისკის ფაქტორები

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია აშშ დოლარში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეზო ვალდებულება.